85
კოლეგა
ჯაფარიძე
ვერსიონი
VERSIONI

მადლობას ვუხდით მხარდაჭერისთვის

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

საქართველოს ხელოვნების სასახლე
კულტურის ისტორიის მუზეუმი

ეთნიკური ქართული ჯილბო

SHILDA WINERY
მეღვინეობა შილდა

პროექტზე მუშაობდნენ:
ივანე ჩხაიძე
მაკა ცომაია
ნინო ხვინგია

გამოყენებულია ბადრი ვადაჭკორიას
და ნინო ინაძის ფოტოები

erisionigt@gmail.com
erisioni.ge
georgiantreasure

ერისიონი
ERISIONI
135
წლისაა

ჯემალ ჭკუასელი!

დღეს ეს სახელი საქართველოში საკმაოდ პოპულარულია. იგი მთელ მსოფლიოში უდიდეს შემოქმედებით ანსამბლად აღიარებულ „ერისიონს“ უკავშირდება.
ყველა გზა, დიდიც და პატარაც ბავშვობით იწყება. ამ ბავშვობას კი თავად ჯემალ ჭკუასელი საკმაოდ თბილად და ლამაზად იხსენებს.
1935 წლის 18 მაისს სოფელ წითელმთაში (შემოქმედის თემი) ღამის სიმყუდროვე თოფის გრიალმა დაარღვია. „ბიჭია, ბიჭია!“ – დაედევნა გასროლის ექოს მამაკაცის ხავერდოვანი, ძლიერი ხმა. ამ ალიაქოთის მიზეზი კი გახლდით მე, „მამის იმედი, დედის ბედნიერება“, თქვენი მონა-მორჩილი, რომელზეც ცოტა მოგვიანებით მამამ, შერმანდი ჭკუასელმა, გაიხუმრა – ნამეტანი აბდლურად გავისროლე თოფი ჰაერში. სიმართლე თუ გინდა, მაი თოფი აგერ ა, საფეთქელში უნდა მესროლაო, – იგონებს ჯემალ ჭკუსელი.

სოფელი წითელმთა

ხუმრობა იქით იყოს და სწორედ ბატონი შერმანდის დამსახურებაა, რომ მან თავისი ვაჟი სისხლხორცეულად აზიარა განუმეორებელი, უნიკალური ქართული ხალხური სიმღერისა და საერთოდ, ფოლკლორის დიდ სიყვარულს.
ჯემალ ჭკუასელის ბავშვობის წლებმა მშობლიური სოფლის წარუშლელ სილამაზეში, ქართული სიმღერის უსაზღვრო სიყვარულში, მშობლებისა და კუთხე-მეზობლების სიყვარულში ჩაიარა.

1955 წელი, თბილისი

1955 წლიდან იგი უკვე თბილისში ცხოვრობს. 1957 წელს ჯემალ ქკუასელი დაოჯახდა. მისი რჩეული გახლდათ გიული ქულუხაძე. მათი შეუღლების ისტორიაც ერთობ რომანტიკული ამბავია. ქალბატონი გიული ხელოვანი გახლდათ, იგი წლების განმავლობაში შესანიშნავად ცეკვავდა. ბატონ ჯემალს და ქალბატონ გიულის სამი შვილი ჰყავთ – ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი.
იმ დროს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში არსებობდა გამორჩეულად კარგი ანსამბლი, რომელსაც ლოტბარი გოგი გუგუშვილი ხელმძღვანელობდა. ანსამბლის სიყვარულით მოხიბლულმა გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი და ჯემალი 1962 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტად ჩაირიცხა. მერე ინსტიტუტში ჩამოყალიბებულმა

მოყვარულ მსახიობთა დასმა გაიტაცა. პირველად „მაია წყნეთელში“ ითამაშა. მერე მისმა „ბეჟანამ“ ნამდვილი სენსაცია გამოიწვია თეატრალურ საზოგადოებაში. ურჩევდნენ კიდეც ამ გზას გაჰყოლოდა, მაგრამ გენი მაინც გენია... ისევ საყვარელ ანსამბლს მიაშურა.
1976 წელს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში (დღევანდელი „ერისიონი“) კონკურსი გამოცხადდა. ჯემალმა მისი მეგობრების: ჯანსუღ კახიძის, ჯანო გიორგაძის, მიშიკო შენგელიას, გურამ საღარაძის, დათო ბერძენიშვილის, ზაურ ბოლქვაძის და სხვების დაჟინებული თხოვნით მიიღო მონაწილეობა. მათთან დიდ ლოტბარს არამარტო მეგობრობა, არამედ საინტერესო შემოქმედებითი გზაც აკავშირებდა. ეს იყო ჯემალ ჭკუასელის ცხოვრებაში ნამდვილად სწორად გადადგმული ნაბიჯი, რომელმაც შემდგომში მას და ანსამბლს უდიდესი წარმატება და აღიარება მოუტანა. იგი ყოველთვის აღნიშნავს, რომ ეს მისი მეგობრების დიდი დამსახურებაა.





მერე იყო ქუთაისი...

1979 წელს ჯემალ ჭკუასელი მის მიერ დაარსებული, ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა, მთავარ ქორეოგრაფად კი მან ბატონი რევაზ ჭანიშვილი მიიწვია. 7 წლის დაუზოგავი შრომით მან მოახერხა, რომ ანსამბლი მაღალ შემოქმედებით დონეზე აეყვანა. სწორედ ქუთაისში გამოავლინა ბატონმა ჯემალმა უდიდესი პროფესიონალიზმი და საქმის მიმართ ერთგულება.
პირველი კონცერტი 1982 წლის 4 მარტს, მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე გაიმართა. მთელმა ქუთაისმა იზეიმა იმ დღეს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაბადება. ანსამბლმა თბილისში სტუმრობაც არ დააყოვნა და 10 მარტს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა.

ეროვნული
ქართული ჯაზ ძალი

1986 წელს კი იმდროინდელი კულტურის მინისტრის – ვალერი ასათიანის ბრძანებით ჯემალ ჭკუასელი საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა. 1990 წლის 31 მაისს კი დიდ ანსამბლს აკადემიურის წოდება მიენიჭა. ანსამბლში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ქართული ფოლკლორის გამოჩენილი და ღვაწლმოსილი პროფესიონალები. მიუხედავად ამისა, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ჯემალ ჭკუასელისა და რევაზ ჭოხონელიძის ტანდემით დაიწყო „ერისიონის“ ოქროს ხანა. 1999 წელს ლევან ღვინჯილიას რჩევით ანსამბლს ეწოდა „ერისიონი“, რომელიც სულხან-საბას განმარტებით, „ცისიერს, მთის თავს ზეითს“ ნიშნავს.

#ჩემისაქართველოერისიონი

უცხოელი პარტნიორების და ინვესტორების დახმარებით გახდა შესაძლებელი ახალი სულის შთაბერვა და მსოფლიო სახელის მოხვეჭა. 1999-2007 წლებში განხორციელდა საქვეყნოდ ცნობილი შოუ-პროგრამები: „ქართული ლეგენდა“ და „ქართული ქარიშხალი“, რომლებიც ამერიკელი პროდიუსერის, ჯიმ ლოოს სახელთანაა დაკავშირებული. მისი სიტყვებია: „ერისიონი“ ქართული ფოლკლორის მუზეუმია, ეს ის ანსამბლია, რომელიც ფრთებს შეასხამს ჩემს პროექტს“. ამ პროექტებით „ერისიონმა“ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარა და უდიდეს წარმატებას მიაღწია. დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ 2002 წელს პარიზში „ერისიონს“ ოქროს დისკი გადაეცა.

THE LEGENDS OF TAMAR

ერთდროულად 5000-ზე მეტი აფიშა და სხვა სარეკლამო საშუალებები იუწყებოდნენ ანსამბლის „ტრიუმფალურ დაბრუნებას“ პარიზში, კომპანია „უნივერსალმა“ შეარჩია და გამოსცა მსოფლიოს საუკეთესო შემსრულებლებისა და ანსამბლების ჩანაწერები: მონსერატ კაბალიე, ფრედი მერკური, ანდრეა ბოჩელი, ლუჩიანო პავაროტი, სარა ბრიტმანი, ხოსე კარერასი, პლაჩიდო დომინგო, მარია კალასი და სხვები. მათ შორისაა ჩანაწერი „სამაია“ შოუ-პროგრამიდან „ქართული ლეგენდა“. ერთიც და მეორეც სრულიად უპრეცედენტო მოვლენაა ქართული კულტურის ისტორიაში.

პრესა

„ტორნადომ გაანგრია გალაქტიკა“ –
წერდა „ერისიონის“ შოუ-პროგრამაზე გაზეთი „გალაქსი“ –
(23 იანვარი, 2002 წ პარიზი)

„რისი დამსახურებაა ტრიუმფი... უძველესის შერწყმა თანამედროვე ტექნიკასთან, რაც ხაზს უსვამს უძველეს საუკუნოვან ტრადიციებს“ –
„ფრან სუარი“ (17.07.2004 წ. პარიზი)

„ეს ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ფოლკლორი. ეს უმაღლესი სრულყოფილებაა“ –
(კიოლნერ შტატ-ანზეიგერ + კიოლნიშე რუნდშაუ, 20.06.2007წ)

„ქართველი მომღერლები და მოცეკვავეები აღგვაფრთოვანებენ თავიანთი შემოქმედებით“ –
(ლოს-ანჯელეს ტაიმსი, 26.01.2000წ. აშშ) და ა.შ.

ჩაკრულო

მსოფლიოს რამდენიმე მუსიკალურ შედევრთან ერთად NASA-ს მიერ 1977 წელს გალაქტიკაში გაგზავნილი „ჩაკრულო“ ანსამბლის შთაგონების შედეგია. ის ჩაწერილია „ერისიონის“ სოლისტების როსტომ საგინაშვილის და ილია ზაქაიძის მიერ.

2010 წელს „ერისიონს“ თბილისში, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ დამსახურებული ღვაწლისთვის ვარსკვლავი გაუხსნეს.

2013 წელს კი ჯემალ ჭკუსელის კიდევ ერთი ვარსკვლავი მშობლიურ გურიაში, ოზურგეთში, თეატრის წინ, აკიაფდა. ჩვეული გურული სითბოთი, სიმღერით, სიყვარულით გაჯერებული დღე აჩუქეს გურულებმა სანუკვარ ლოტბარს, გამორჩეულს, სახელოვანს. მის ცხოვრებაში ეს დღე ნამდვილ დღესასწაულად შემორჩება.

©SKYLAND STUDIO



დღეს უკვე „ერისიონი“ 135 წლისაა.

წინ კიდევ ბევრი, ალბათ, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მაყურებელთა აღტაცება ელის ჩვენს საყვარელ ანსამბლს და მის ღირსეულ ხელმძღვანელობას.

30 წლიანი სამხატვრო ხელმძღვანელობის შემდეგ ჯემალ ჭკუასელი ანსამბლის მთავარი ლოტბარია. 2015 წლიდან „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელია შერმანდი ჭკუასელი, მთავარი ქორეოგრაფი – ეკა ჭკუასელი.

ანზორ ერქომაიშვილი

ჯემალ ჭკუასელი და მე თანასოფლელები ვართ, ერთად ვსწავლობდით ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთის არასრულ საშუალო სკოლაში. ჯემალი თავიდანვე ბრწყინავდა სიმღერით, ჩვენს სკოლას არაჩვეულებრივი ბავშვთა გუნდი ჰყავდა, ჯემალი გამორჩეული სოლისტი იყო. მან წინაპრებისგან გენეტიკურად მიიღო მუსიკალური ნიჭი. მისი მამა შერმანდი ჭკუასელი მთელ გურიაში განთქმული ბანი იყო. იგი ვარლამ სიმონიშვილის გუნდის სოლისტი გახლდათ. ლადიკო და არტემ ერქომაიშვილები დიდად აფასებდნენ შერმანდი ჭკუასელს და მასთან მეგობრობდნენ. ასეთ სასიმღერო ტრადიციებზე აღიზარდა ჯემალ ჭკუასელი. სკოლა რომ დაამთავრა ერთხანს ოზურგეთის თეატრში მსახიობად მუშაობდა, მაგრამ ვერ გაჩერდა, გულმა სიმღერისკენ გაუწია. მოგვიანებით, როცა თბილისში სწავლობდა მან შესანიშნავად შეასრულა ბეჟანას როლი ნოდარ დუმბაძის სპექტაკლში „ მე ვხედავ მზეს“. ამ როლის შესრულებისთვის პირველი პრიზი მიიღო.

ჯემალ ჭკუასელმა რთული ცხოვრება გაიარა. მინდა გამოვყო ორი მომენტი მისი ცხოვრებიდან: ქუთაისში ჩამოაყალიბა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელმაც ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ ჯემალი თბილისში გადმოიყვანეს და საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნეს. ამ ანსამბლს შემდეგ „ერისიონი“ დაერქვა. „ერისიონის“ მუშაობის პერიოდში სრულად გამოჩნდა ჯემალ ჭკუასელის ნიჭი. მან მოამზადა იშვიათი შოუ, რომელიც უდიდესი წარმატებით გამოდიოდა მსოფლიოს მრავალ საკონცერტო დარბაზებში. მე დავესწარი საფრანგეთში „ერისიონის“ გასტროლებს, პარიზი სავსე იყო „ერისიონის“ ბილბორდებით, ტელევიზიით გადიოდა მისი რეკლამები. პირველივე კონცერტზე 5000 კაციან დარბაზში ანსამბლს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ასეთი წარმატება იშვიათად მინახავს, ფეხზე ამდგარი მაყურებელი ოვაციას უმართავდა „ერისაიონს“. ბევრმა სწორედ ამ ანსამბლით გაიცნო საქართველო. „ერისიონმა“ თავისი გამოსვლებით უცხოეთში დიდი პოპულარობა გაუწია ქართულ კულტურას და ამაში ჯემალ ჭკუასელის დიდი მადლია, ამ წარმატებაში უნდა აღინიშნოს შესანიშნავი ქორეოგრაფის რეზო ჭოხონელიძის დიდი ღვაწლი. ჯემალ ჭკუასელი 85 წლის გახდა. ვულოცავ ამ შესანიშნავ თარიღს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებ ამაგდარ ლოტბარს. ღმერთმა საქართველოს ნუ მოუშალოს მისი სიმღერა, მისი ხალასი იუმორი , რომელიც ახალისებს და აცოცხლებს ქართველ კაცს. დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ ჩემს ჯემალს. ღმერთმა „მრავალჟამიერი“ ნუ მოუშალოს მის ძეს და მომავალს.

„ერისიონს“ 30 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა ჯემალ ჭკუასელი. დღეს მის საქმეს წარმატებით განაგრძობენ მისი შვილები,-ეკა და შერმანდი ჭკუასელები. ამ ცოტა ხნის წინ თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში დავესწარი „ერისიონის“ კონცერტს, დარბაზი გადაჭედილი იყო, ხალხი დიდი ინტერესით ელოდებოდა ახალ პროგრამას. კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა. მაყურებელი ფეხზე ამდგარი დიდხანს ოვაციებს უმართავდა ამ შესანიშნავ ანსამბლს. ახალმა პროგრამამ დიდი მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ქორეოგრაფის – ეკა ჭკუასელის დადგმულ ცეკვებს, რომელმაც სიმღერებთან ერთად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

გიორგი დონაძე ჯემალ ჭკუასელზე

ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა სხვადასხვა ანსამბლებისა თუ ძველი მომღერლების ჩანაწერების მოსმენა. იმ დროს დღევანდელივით ბევრი ანსამბლი და ჩანაწერი არ იყო. პირველი დიდი სიხარული იყო, „რუსთავის“ „100 სიმღერა“. მახსოვს, რადიოში გადმოსცემდნენ ვისი ფირფიტაც გამოვიდოდა და ასე ვიყიდე „რუსთავის“ ფირფიტა. ასე შევიტყვე სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის (დღევანდელი „ერისიონი“) ფირფიტის შესახებაც და შევიძინე იგი. ჯემალ ჭკუასელის ფოტო იყო ზედ – ახოვანი ქართველი კაცი გვიყურებდა ფოტოდან. მერე შევიძინე საოცარი მომღერლების – ლელა თათარაიძის, თემურ ქევხიშვილის ალბომები...როგორც ვთქვი, ძალიან ცოტა ჩანაწერი იყო და ყველა ფირფიტას, რაც გამოდიოდა ვყიდულობდი და ახლაც მაქვს სახლში.

ჯემალ ჭკუასელის სახელი იმ დროიდან და ახლაც ძვირფასია ჩემთვის. სხვა დიდი ლოტბარების მსგავსად, ჯემალ ჭკუასელიც ქართული სიმღერის სახედ იქცა.
ბავშვობიდანვე დავდიოდი მის კონცერტებზე და აღტაცებული ვიყავი მისი ოსტატობით. ძალიან მაღალი დონის, გამორჩეული მომღერლები ჰყავდა სოლისტებად: ილია ზაქაიძე, ჯემალ ცხვედიანი, როსტომ საგინაშვილი და სხვები. საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩემს ბავშვურ გულზე – მთელი კონცერტით, თუმცა, ორ-სამ სიმღერას ისეთს იმღერებდნენ, დაუვიწყარს, რომ ხვდებოდი ეს მხოლოდ აქ, ამ მომღერლებთან, ამ ანსამბლთან და ამ ლოტბართან შეიძლებოდა მოგესმინა... რა თქმა უნდა, მაშინ ჟღერადობა უფრო გუნდური იყო.
ადამიანს შორიდან რომ ხედავ, რა თქმა უნდა, სხვაა და როცა ახლოს, პირადად გაიცნობ – სულ სხვა. როგორი ლოტბარი იყო, გაცნობამდეც ვხედავდი. გაცნობის შემდეგ კი, მისი მრავალი პიროვნული თვისება, მრავალი სიკეთე დავინახე. ამაყი და ბედნიერი ვარ მისი მეგობრობით. თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ პირველ რიგში რაც მინდა ვთქვა: მიუხედავად ასაკისა, ჯანმრთელობისა, დაკავებულობისა იგი ყოველდღე მეხმიანება, სითბოს გამოხატავს და მეკითხება, ხომ არაფერშია საჭირო. ასეთი ყურადღება და მამა-შვილური

თუ ძმური დამოკიდებულება მეტად იშვიათია დღევანდელ ჩვენს სფეროში, სამწუხაროდ. მე მადლობელი ვარ ბატონი ჯემალისა. ზოგი მის შემოქმედებით თავისუფლებას აკრიტიკებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს მრავალნაირი საკონცერტო პროგრამა და არა მხოლოდ ერთი კონკრეტული შოუ, რომლის კონცეფციისა და სტილის განზოგადება „ერისიონისა“ და ჯემალ ჭკუასელის მთელ შემოქმედებაზე არ შეიძლება. ხელოვნებაში ხშირია ექსპერიმენტები და ძიებები. ბატონი ჯემალი მიიჩნევს, რომ ქართული სიმღერის პოპულარიზაციისთვის გადადგმული მისი ნაბიჯები საჭირო იყო. დღევანდელი გადმოსახედიდან, რთულია არ დაეთანხმო – იმ ერთმა კონკრეტულმა შოუმ, სადაც შერწყმული იყო ძველი და ახალი ჟღერადობები, მართლაც დიდი პოპულარობა მოუტანა ჩვენს ქვეყანას. დღეს ასეთ ექსპერიმენტებს ბევრი მიმართავს, არა მხოლოდ სიმღერაში, არამედ ცეკვაშიც და ხელოვნების სხვა დარგებშიც. ასეთი რაღაც მუდამ იწვევდა და გამოიწვევს კამათს, აზრთა სხვადასხვაობას. მაგრამ, ერთი რამ მკაფიოდ შეიძლება ითქვას – ჯერ ერთი, ყოველივე ეს ქართული სიმღერის აქტუალობასა და მისით დაინტერესებას აღვივევებს ქართულ თუ უცხოურ საზოგადოებაში და მეორეც – მთლიანობაში, ჯემალ ჭკუასელის შემოქმედებითი გზა, მაღალი პროფესიონალიზმით, თავგანწირული სიყვარულით, ადამიანობით, სითბოთი და პატრიოტიზმით არის აღვსილი. ის, რაც მან თავის ქვეყანას გაუკეთა, ბევრმა ინატროს, ვინც დებს თავს უფრო ტრადიციულზე, უფრო აუთენტურზე...

ანსამბლ „ერისიონის“ წარმატებით ცხოვრება ჯემალ ჭკუასელის მთავარი ინტერესია. მისთვის სხვა მიზანი არ არსებობს. ათეულობით წელი იმუშავა იმისთვის, რომ მსოფლიოსთვის „ერისიონს“ საქართველო გაეცნო. როგორც ადამიანი და მოღვაწე, ჯემალ ჭკუასელი მაგალითია ჩვენი ყველასთვის – თუ როგორ უნდა ემსახუროს შენს საქმეს თავდადებით, სიყვარულითა და ადამიანობით. უფალმა ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და კიდევ მრავალი სიხარული და შემოქმედებითი გამარჯვება მიანიჭოს ბატონ ჯემალს, მის ოჯახსა და „ერისიონს“, რომელსაც იგი თავის ენერგიასა და სიცოცხლეს სწირავს.

გია ბაღაშვილი ჯემალ ჭკუასელზე

ჯემალ ჭკუასელი გამორჩეული ფიგურაა ქართულ ხელოვნებაში. როცა მას უსმენ და აფასებ, როგორც მომღერალს, გრძნობ, რომ ბატონი ჯემალი თავის თავში ატარებს ცოცხალ, ზეპირი გზით თაობიდან თაობაზე გადაცემულ, უნიკალურ სასიმღერო ტრადიციას, რომელსაც ნოტიდან ვერასოდეს ისწავლი, ის ვერ იქნება დიდი მომღერლების შესრულების მსგავსი პირველქმნილი სურნელით გაჟღენთილი. მრავალ სხვა კომპონენტთან ერთად ეს, პირველ რიგში თავად სიმღერასთან დამოკიდებულებაში ვლინდება, ნათლად ჩანს, რომ ეს არის ნამდვილი თვითგამოხატვა, ფოლკლორული რეპროდუცირება, თანაშემოქმედება და არა დასწავლილის მექანიკური შესრულება. ჯემალ ჭკუასელის ცოცხალ ინტონირებას, პოლიფონიური აზროვნების ორგანულობას სწორედ უწყვეტი მუსიკალური მემკვიდრეობითობა განაპირობებს. ამ



ყოველივეს თავის მკვიდრი საფუძველი აქვს. ბატონი ჯემალის შემთხვევაში ეს არის მამისგან, გურული სიმღერის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებლის, შერმანდი ჭკუასელისგან მომდინარე ტრადიციები, რომელსაც იგი ღირსეულად აგრძელებს.

ჯემალ ჭკუასელმა მთელი ეპოქა შექმნა უმდიდრესი ტრადიციების მქონე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში, რომელსაც უზარმაზარი დამსახურება აქვს ქართული კულტურის წინაშე. ბატონი ჯემალის, როგორც ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელისა და ამჟამად, მთავარი ლოტბარის უდიდესი მიღწევაა ის გრანდიოზული წარმატება, რომელსაც „ერისიონმა“ 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე მიაღწია. „ერისიონის“ „ქართული პოსტფოლკლორული შოუ“, როგორც მას საფრანგეთში უწოდეს, მსოფლიოს მასშტაბით მოვლენად იქცა და მისი არნახული საერთაშორისო აღიარება, თვით მრავალი ტრიუმფის მნახველი ქართული ცეკვისა და სიმღერისთვისაც კი განსაკუთრებული აღმოჩნდა.

თავად სახელიც – „ერისიონი“ – ჯემალ ჭკუასელს უკავშირდება. სწორედ მისი ინიციატივით ეწოდა ასე ანსამბლს და ეს დროის მოთხოვნების ადეკვატური პასუხი გახლდათ. ბატონმა ჯემალმა ნათლად დაინახა, რომ თანამედროვე მსოფლიოში მარკეტინგული კატეგორიებით მოაზროვნე საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სახელს, როგორც ბრენდს და რაც უფრო ტევადი და მეტყველია იგი, მით მეტია შანსი გლობალური წარმატების მიღწევისა.

აქაც რა ზუსტად შეაჩერა მან არჩევანი ბატონ ლევან ღვინჯილიას მიერ შემოთავაზებულ, სულხან-საბასეულ, ძირძველ, ქართულ სიტყვაზე – ერისიონი! „ერისიონი“, ტრანსლიტერაციულ თარგმანში, ყველა ენაზე მოხდენილად ჟღერს, ხოლო ქართულად, გარდა საბასეული, პირვანდელი მნიშვნელობისა – ცისიერი, მთის თავს ზეითი, – ორ უმთავრეს ცნებას აერთიანებს: ერს და სიონს, ანუ ქართველს და ქრისტეს ჯვარს. ის იმ ნიშნითაც სიმბოლურია, რაც ხალხური სიმღერისა და საგალობლის შინაგან ერთიანობას უკავშირდება: ერი (ერში: სათქმელი, ანუ ხალხური სიმღერა) და სიონი (ტაძარში ასაჟღერებელი, ანუ – საგალობელი). როგორ ეხმიანება ეს მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, ილია მეორეს მიერ აღნიშნულ პარალელს ქართული სიმღერა-გალობისა, ჯვრის სიმბოლიკასთან – ქართული ხალხური სიმღერა, როგორც ჯვრის ჰორიზონტალი, ხოლო საგალობელი, როგორც ზეცისკენ მსწრაფი ჯვრის ვერტიკალი.
ყოველ საჯარო გამოსვლაში, დისკუსიასა თუ განხილვაში, ბატონი ჯემალი ჯანსაღ და სწორ პოზიციაზე დგას, რომ „ხალხური სიმღერა უნდა დაუბრუნდეს სოფელს“ და თუ იგი არ დაბრუნდა და არ აღორძინდა იქ, საიდანაც ეს უნიკალური ტრადიცია იშვა, დაიღუპება ეს მძლავრი ფესვი, რომელმაც ქართული ფოლკლორის გენეალოგიური ხე კიდევ მრავალი საუკუნის მანძილზე უნდა კვებოს და აცოცხლოს.
ფოლკლორი, რომლის ერთ-ერთი გავრცელებული განსაზღვრებაა „ტრადიციული ხელოვნება“, პატრიარქალური მოვლენაა და ბატონი ჯემალი ამ ნიშნითაც სრულ ჰარმონიაშია ხალხურ შემოქმედებასთან. იგი თავად არის ტრადიციული ღირებულებების ერთგული და ყოველმხრივ ცდილობს

მამა-პაპათა მიერ ქართულ მრავალხმიან სიმღერაში ხორცშესხმული მარადიული ფასეულობები მომავალ თაობებს გადასცეს. ამაზე დგას დღეს უკვე დიდ დინასტიად ჩამოყალიბებული ჭკუასელების უნიჭიერესი ოჯახი, რომელსაც სათავეში ბატონი ჯემალი უდგას და მე დარწმუნებული ვარ, იგი კიდევ მრავალი წლის მანძილზე იქნება წინამძღოლი, ტონის მიმცემი და გზის გამკვალავი ქართული საქმის ერთგული ქართველი ახალგაზრდებისთვის.

ნანა გოთუა და ვანო ჩხარტიშვილი ჯემალ ჭკუასელზე

ჩვენი ოჯახისათვის უფლის დიდი წყალობაა ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ შვილებთან, ადამიანებთან, რომელთაც შექმნეს და ქმნიან ქართულ კულტურას, იმ ღირებულებებსა და იდეალებს, რაც ქართველი ერის მარადისობასთან ზიარებას წარმოაჩენს და ემსახურება.
სწორედ ასეთი ადამიანია ბატონი ჯემალ ჭკუასელი. ის, როგორც საზოგადო მოღვაწე, როგორც რჩეული მუსიკოსი და ღვაწლმოსილი ლოტბარი, იმ ფოლკლორული მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიდერია, რომელიც ბატონ ანზორ ერქომაიშვილის მეთაურობით დაიწყო და რომელმაც შემოაბრუნა ქართული სიმღერა-გალობის ბედი. ბატონი ჯემალი ამ ბრძოლის მხედართმთავარია, რომლის სახელსაც ქართული ხელოვნების არაერთი გამარჯვება და ტრიუმფი უკავშირდება. „ერისიონის“ საუკუნოვანი ისტორია და ბატონი ჯემალის სახელოვანი მოღვაწეობა მუდამ იქნება ქართველი კაცის სიამაყისა და სიხარულის საფუძველი.
ჩვენთვის დიდი სიხარულია ის, რომ ფონდ „ქართული გალობის“ დაარსებისთანავე ბატონმა ჯემალმა ქმედითი თანადგომა და დიდი სიყვარული გვიჩვენა.
დიდი პატივია მასთან ურთიერთობა, დიდი სიხარულია მისი ნაუბარის, მისი

განუმეორებელი ისტორიების მოსმენა. ბატონ ჯემალის სიტყვაში, საქმესა თუ ნამღერში სიკეთისა და ადამიანობის მაგალითი და სიმაღლე ჩანს მუდამ. მისი დიდი ღვაწლის გამო ფონდმა „ქართული გალობა“ პირველივე წელს გამოარჩია ბატონი ქკუასელი და დააჯილდოვა იგი, როგორც ღვაწლმოსილი ლოტბარი. ჩვენი ფონდისა და ჩვენი ოჯახის სახელით, ყველა სიკეთესა და სიხარულს ვუსურვებთ ბატონ ჯემალ ქკუასელსა და მის ოჯახს, უფლის წყალობას, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას – კიდევ დიდ ხანს ჩვენი ქვეყნის ასამაღლებელ მოღვაწეობას.

„ერისიონი“ წელს 135 წლის გახდა – ანსამბლი, რომელიც ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ფენომენს თაობიდან თაობაში თავისი ხელწერით ახალ სიცოცხლეს სძენს. ანსამბლს ერთი განსაკუთრებული, უკვე საუკუნოვანი

ტრადიცია აქვს. სცენაზე გასვლამდე, ფარდის უკან მთელი გუნდი წუთიერი დუმილით პატივს მიაგებს წინაპართა ხსოვნას. ამ ტრადიციით იკვრება მარადიული წრე წარსულის დიდებულ აჩრდილებსა და ახალგაზრდა თაობას შორის, რომელიც დღეს და აქ, სცენაზე აცოცხლებს ქართულ საგანძურს. ამჟამად, ანსამბლში ჭკუასელთა ოჯახის სამი თაობა მოღვაწეობს. ბატონი ჯემალის გაკვალულ გზას ღირსეულად აგრძელებენ მისი შვილები ედიშერი და ეკა, შვილიშვილი თათია. ამის დასტური იყო 2019 წლის 28 ნოემბრის კონცერტი. ემოცია, რომელიც ამ წარმოდგენამ დაბადა მაყურებელში იყო საკუთარი კულტურის თანაგანცდის მაქსიმუმი.
ვულოცავთ „ერისიონს“ 135 წლის, მის ამაგდარს, ბატონ ჯემალ ჭკუასელს 85 წლის იუბილეს! ვუსურვებთ კიდევ ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დალაშქვრას!

ეთერ თათარაიძე ჯემალ ჭკუასელზე

ჩვენ არ ვაპირებთ ბატონ ჯემალზე, მის პროფესიონალიზმზე საუბარს. მაესტროს ნიჭიერებაზე და გამოცდილებაზე მისი კოლეგები ამბობენ და მომავალშიც იტყვიან თავიანთ სიტყვას. თუმცა სასაუბროცაა და სასაუბროც. ერთმა მისმა ოფლჩაღვრილმა და გულ და სიყვარულჩადებულმა, ორ საათში ჩატეულმა „ქართულმა ლეგენდამ“ ისეთი სახელი, დიდება და აღიარება მოუტანა საქართველოს, რასაც სხვა შემთხვევაში შეიძლება საუკუნეები დასჭირვებოდა...

ვინ არის ეს უნიჭიერესი ადამიანი, სად დაიბადა და აღიზარდა, როგორ უყვარდა, როგორ სტკიოდა, როგორი მეგობრობა იცოდა და იცის და საერთოდ, ვინაა თავადაც ლეგენდად ქცეული მოღვაწე, ფოლკლორული ჟანრებივით საინტერესო და ამოუწურავი დიდი მამულიშვილი... რამდენი დიდი ხელოვანი გაგვიგია, რომელთა ზნე-ხასიათი არაფრით ეთანადება მათ მიერ შექმნილ კულტურულ ფასეულობებს. სულ სხვა რაკურსით ვეცნობით პატარა გურულ ბიჭს, რომლის დედიკო ერთი კვირა რომ მასთანაა, ერთი კვირა ბათუმის სასწავლებელში მიდის და ცხარე ცრემლების ღაპა-ღუპით

იწყება ბათუმში დედის გასტუმრების რიტუალი. წასვლის წინ, რომელი საშინაო კაბაც გამოიცვალა დედამ, ბიჭი იმ კაბას ხელს არ უშვებს, ვერ თმობს, დადის გულში დედის კაბაჩაკონებული, ძილის დროს ლოგინში თანჩაყოლილი დედის სურნელს ვერშელეული... ის პატარა ბიჭი ახლა უკვე დიდი ბაბუაა – ბატონი ჯემალ ჭკუასელი, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, გამჩენ გურიაზე თვალმოცრემლილად მოლაპარაკე, თავის შექმნილ სახლ-კარში არავისას რომ არ ჰგავს მოტრიალე, კარმიდამო ბაღნარად და ყვავილნარად ნაქცევი. არცერთი გოჯი თუ მტკაველი მიწა უფუნქციო და დაუტვირთავი რომ არაა. ცოტაში და მარტივში მოთავსებული ბევრი, წლობით წინ გასწრებული, სწორედაც რომ ამ კუთხე-კუნჭულს მისადაგებული უთანამედროვესი დიზაინი, მხოლოდდამხოლოდ ბატონი ჯემალის მიერ შექმნილი ორიგინალური არქიტექტურა.... და მაინც თავმდაბალი... განუმეორებელმა ჯანო გიორგაძემ მკითხაო, – ხშირად იმეორებს: – რა სპეციალობის ხარო? -აგრონომი, – ვუპასუხეო და: – რაის აგრონომი, ვაშლი და ატამი ერთმანეთისგან ვერ გაგირჩევია, დაადექი სწორ გზას და იმღერე და იმღერეო... ორმცდაორისამ დავიწყე სიმღერა და ჯერ კიდევ რამდენია სასწავლიო. მისეულ „არქიტექტურაზე“ საუბარს, რომ ჩაკრავს თვალს, ალბათ თავისი დაუვიწყარი მეგობარივით იტყვის თავის თავზე, „რაის არქიტექტორიო“. თუკი ახლა მის მიერ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში განსახიერებულ თეატრალურ პერსონაჟებს გავეცნობით, „რაის მსახიობიო“ იტყვის. იტყვის და იტყვის...ფაქტი ჯიუტია, ჩამოთვლას რა აზრი აქვს, ან მის იუმორზე ლაპარაკს. ჩვენ ერთადერთიღა დაგვერჩენია: მადლობა ვუთხრათ ადამიანს, ვინც მსოფლიოს ხმამაღლა ათქმევინა, რომ „ქართული ლეგენდა“ უბადლო, შეუდარებელი და სწორუპოვარია!

გიორგი კალანდია

პროფესორი

ხელოვნების სასახლე
კულტურის ისტორიის მუზეუმის გენერალური დირექტორი

ჯემალ ჭკუასელი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც საქართველოს კულტურის ისტორიაში საეტაპო ეპოქა შექმნეს. მან ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი შემოქმედებითი წარმატების და მსოფლიო აღიარების უმაღლეს დონემდე მიიყვანა.
1982 წლის 4 მარტს ქუთაისში მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ქართულმა საზოგადოებამ იზეიმა ჯემალ ჭკუასელის დიდი შრომით შექმნილი ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაბადება. მაშინ მაყურებელი და მსმენელი აღაფრთოვანა დახვეწილი გემოვნებითა და იუველირული სიფაქიზით შერჩეულმა პროგამამ, შესრულების მაღალმა კულტურამ, ქართული მრავალსაუკუნოვანი ხალხური ხელოვნების სწორად, ახლებურად და ეფექტურად სცენაზე გადმოტანამ.

1986 წელს ჯემალ ჭკუასელი საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ დირიჟორად დაინიშნა, ეს არჩევანი ფრიად სასიკეთო გამოდგა, რაც დიდი ქართული ანსამბლის მთელმა შემდგომმა ცხოვრებამ და შემოქმედებამ დაადასტურა, ანსამბლის ხელმძღვანელობის პირველი წუთიდან დღემდე მაყურებელი ჯემალ ჭკუასელისაგან სიმღერასა და ცეკვაში ჩვენი ეროვნული ხასიათის გამჟღავნებას, გაფრთხილებას და განსაკუთრებულ ერთგულებას ხედავს.

„მე უფრო მეტს ვიბრძვი, ვიდრე ვშრომობ პროფესიაში“ -არაერთხელ უთქვამს გულისტკივილით დიდ მაესტროს, თუმცა საკუთარი საქმისათვის, მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა თუ ბარიერისა არასოდეს არ უღალატია

ჯემალ ჭკუასელმა უდიდესი შრომა გასწია ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმა ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის. ამ მხრივ ერთი მაგალითის დასახელებაც საკმარისია: 2001 წლის 15-16 ივნისს ერისიონმა პარიზში უცხოელ ინვესტორებს ორი საჩვენებელი კონცერტი წარუდგინა.... ამ მოვლენით მთელი ეპოქა დაიწყო, ქართველების გამოსვლას მსოფლიო პრესა აღტაცებით გამოეხმაურა, „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ კონცერტებს ორი სტატია მიუძღვნა. მალევე ეკრანებზე გამოვიდა კლიპი სიმღერით „შატილის ასულო“, მას საფრანგეთის ტელევიზია დღეში ოთხჯერ უჩვენებდა, პარიზის წამყვან 94 კინოთეატრში კი თვენახევრის განმავლობაში ამ ლეგენდარული ნამუშევრის ნახვა შეგეძლოთ, საფრანგეთის დედაქალაქის ქუჩებში 5000 აფიშა იყო გამოკრული. ალბათ სიმბოლურია რომ უცხოელებმა მთელს ამ შემოქმედებით პროცესს „Georgian Legend„ შეარქვეს. დიახ, ჯემალ ჭკუასელი ამ ლეგენდის სათავეში დგას, ამიტომ მას დიდხანს სიცოცხლე და კეთილდღეობა უნდა ვუსურვოთ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის სასახელოდ.

ჯემალ ჭკუასელს 2020 წელს საიუბილეო წელი აქვს, მას 85 წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში უდიდესი ლოტბარი და საქართველოს სახალხო არტისტი არაერთი ჯილდოსა და სტატუსის მფლობელი გახდა.

- საქართველოს სახალხო არტისტი
- ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე
- რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი
- სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
- ღირსების ორდენის კავალერი
- პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენის კავალერი
- ხელოვნების ქურუმი
- ვარსკვლავოსანი
- ღვაწლმოსილი ლოტბარი
- ხელოვანთა ოქროს ფონდის კულტურის რაინდის წოდება
- თბილისის საპატიო მოქალაქე
- უნივერსიტეტის (სდასუ) საპატიო დოქტორის წოდება
- დიდუბის საპატიო მოქალაქე
- ოზურგეთის საპატიო მოქალაქე
- შემოქმედის საპატიო მოქალაქე
- ეამაყება თბილისს
- ჯემალ ჭკუასელს და ანსამბლ „ერისიონს“ მიენიჭა – ქართული ფოლკლორის, ქართული საგანძურის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის – შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციისა და ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირის ერთობლივი საერთაშორისო ჯილდო.

თავად ჯემალ ჭკუასელი კი ამბობს:

„ეკალოსანი ცხოვრება ისეთია, მეგონა მე ვის კარი, ისეთად ეთენება მიხარია, ვინაიდან ყოველ დილა ლანდაურობით ვცხრები“.